პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №7

თბილისი **20.10.2015**

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
საბა სარიშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი, შპს „კომერციული პარტნიორები – საერთაშორისოს“ დირექტორი, სხდომის თავმჯდომარე (შემდგომში-თავმჯდომარე);
ლიანა ზამბახიძე – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, საბჭოს სხდომის მდივანი (შემდგომში-მდივანი);
ელგუჯა მელაძე – ა(ა)იპ – საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
მაია ჩიხლაძე – ა(ა)იპ – საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს – „საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას“ დირექტორის მოადგილე;
მამია ჯანჯალია – სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ქეთევან ბექერი - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ელენე ვეკუა - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
მარიამ შოშიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ეტალონის“ წარმომადგენლები:
ზვიად ხაჭაპურიძე - დირექტორი;
ნინო კობაიძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივ კოლეჯ „იმედის“ წარმომადგენელი:
ინეზა იორამაშვილი - დირექტორი.

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის წარმომადგენლები:
რევაზ უზუნაძე - დირექტორი;
მზია ბაკურიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი;
ინგა შალამბერიძე - ადმინისტრაციის უფროსი.

შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის წარმომადგენელი:
იზოლდა ხალვაში - პროფესიული პროგრამების მენეჯერი.

შპს დავით აღმაშენებლის აკადემიის წარმომადგენლები:
ნანა ჯიქია - რექტორი;
ზვიადი არძენაძე - იურისტი.

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ლიდერის" წარმომადგენლები:
ნანა ხიზანიშვილი - დირექტორი;
სოფიო გუდაძე - საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი.

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ფანასკერტელის" წარმომადგენლები:
მაყვალა დარსანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
შორენა ხაჭაპურიძე - დირექტორის მრჩეველი;
ლელა ხუფენია - საქმისწარმოების სამსახურის უფროსი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ავტორიზაციის ექსპერტები):
ნოდარ ანგურიძე;
ზურაბ ჩხიკვაძე;
შორენა ჯაფარიძე;
ქეთევან ჯანელიძე;
ნინო ბალანჩივაძე;
ეკატერინე გიგაშვილი;
ნატალია ბარათელი;
თამარ რემიშვილი;
თეა შაყულაშვილი;
მადონა გოგობერიშვილი;
ელენე გვენცაძე;
დალი კალაძე.

საბჭოს სხდომა 16:17 საათზე დაიწყო. იქიდან გამომდინარე, რომ სხდომას არ ესწრებოდა თავმჯდომარე, ქეთევან ჯაყელი, საბჭოს საბა სარიშვილი გაუძღვა. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
3. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
4. შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
5. შპს დავით აღმაშენებლის აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
6. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
7. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა.

ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ ექსპერტის თხოვნა იყო, მესამე საკითხი განეხილათ ბოლო საკითხად. ლევან მადათოვმა ასევე განაცხადა, რომ წინა სხდომაზე უნდა განხილულიყო საზოგადოებრივ კოლეჯ „ეტალონის" საკითხი, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯის წარმომადგენლები არ გამოცხადდნენ, საკითხის განხილვა გადაიდო 20 ოქტომბრის სხომისათვის. ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ წინა სხდომაზე დაწესებულების მხრიდან შემოსული იყო კორესპონდენცია საკითხის გადადებასთან დაკავშირებით, თუმცა ზემოაღნიშნული ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისათვის გვიან გახდა ცნობილი. შესაბამისად, დაწესებულებამ გააფრთხილა ცენტრი, რომ წარმომადგენელი ვერ შეძლებდა სხდომაზე დასწრებას. მიმდინარე სხდომას კოლეჯის წარმომადგენლები ესწრებოდნენ და შესაძლებელი იყო აღნიშნული საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგში ცვლილების შეტანის საკითხი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ახალი დღის წესრიგი:

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
3. შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
4. შპს დავით აღმაშენებლის აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
5. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
6. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.
7. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მათ დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა ნოდარ ანგურიძემ და ზურაბ ჩხიკვაძემ წარმოადგინეს. მათ აღნიშნეს, რომ ვიზიტის მიზანი იყო, გადაემოწმებინათ, ფუნქციონირებდა თუ არა სათანადო ნებართვის გარეშე კოლეჯის ფილიალები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. მონიტორინგის საფუძველი გახდა სარეკლამო ბუკლეტი, რომლის მიხედვითაც, კოლეჯი იწვევდა სტუდენტებს სასწავლებლად იმ რეგიონებში, რომელზეც არ ჰქონდა მიღებული ავტორიზაცია.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ისინი იმყოფებოდნენ ოზურგეთში, ლანჩხუთში, სამტრედიაში, ზესტაფონში, საჩხერესა და ხაშურში. ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 9 ნოემბრის N306 გადაწყვეტილებით კოლეჯს ამათგან მხოლოდ ქ. სამტრედიის წარმომადგენლობაში ჰქონდა განსაზღვრული სტუდენტთა ადგილები სასწავლო პროცესის წარმართვისთვის (ამ გადაწყვეტილებით, საზოგადოებრივ კოლეჯ „ეტალონს" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვრა 1144-ით საქართველოს სხვადასხვა რეგიონის შემდეგ ქალაქებში: თბილისი -280; გორი -212; ქუთაისი -224; სამტრედია - 140; ბათუმი - 240; თელავი - 68;).

ქ. სამტრედიაში ვიზიტის დროს ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ: კოლეჯ ეტალონის წარმომადგენლობას შეუცვლია წინა მისამართი ფოთის ქ. N11 და გადასულა ჭავჭავაძის ქ. N30-ში. ექსპერტები ტელეფონის მეშვეობით გაესაუბრნენ კოლეჯის დირექტორს, ზვიად ხაჭაპურიძეს, რომელმაც ექსპერტებს განუცხადა, რომ 2015 წლის აპრილიდან სამტრედიაში კოლეჯი აღარ ფუნქციონირებდა. ამასვე ადასტურებდა კოლეჯის სამტრედიის წარმომადგენლობის სასწავლო პროცესის მენეჯერი, მაია გაბედავა, რომლის წერილობითი ახსნა-განმარტებითი ბარათი ექსპერტებმა დასკვნას დაურთეს. რაიმე სახის დოკუმენტი ფილიალის გაუქმებაზე დაწესებულებას არ წარმოუდგენიათ. ჭავჭავაძის ქ. N30-ში ვიზუალური დათვალიერებით აღწერილი ინვენტარი, მენეჯერის თქმით, სასწავლო პროცესისთვის არ გამოიყენებოდა.

ქ. ოზურგეთში ვიზიტის დროს დაფიქსირდა შემდეგი გარემოება: ოზურგეთში მართლაც ფუნქციონირებდა კოლეჯ ეტალონის წარმომადგენლობა. ფილიალი მდებარეობდა ქალაქის ცენტრში, „სილქნეტის" შენობის მე-2 და მე-3 სართულებზე. წარმომადგენლობის დირექტორის, ზურაბ წურწუმიას განცხადებით, ფართზე მიმდინარეობდა რემონტი და სასწავლო პროცესისთვის დასრულდებოდა ერთ თვეში.

ქ. ლანჩხუთში, სოფ. გვიმბალაურში ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ფუნქციონირებდა კოლეჯის წარმომადგენლობა. ფართი განთავსებული იყო ყოფილი „პროფტექნიკუმის" შენობის მე-2 სართულზე და იყო დაფით, მერხებითა და სკამებით უზრუნველყოფილი, ჰქონდა 5 სასწავლო აუდიტორია, 1 ადმინისტრაციის ოთახი, სველი წერტილები. მონიტორინგის ჯგუფის წევრებს საშუალება ჰქონდათ, გასაუბრებოდნენ წარმომადგენლობის ფარმაცევტული ქიმიისა და ლათინური ენის პედაგოგს, თეა კლდიაშვილს, მან დაადასტურა, რომ აღნიშნულ ფართზე მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. თეა

კლდიაშვილის განცხადებით, სასწავლო პროცესი აღნიშნულ მისამართზე განახლდებოდა ოქტომბერში.

ქ. საჩხერეში ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ მისამართზე მართლაც ფუნქციონირებდა კოლეჯ „ეტალონის" წარმომადგენლობა. სასწავლო ფართის ვიზუალური დათვალიერებით დაფიქსირდა 5 სასწავლო აუდიტორია დაფებით, 40 ორადგილიანი მერხი სკამით, კომპიუტერების ოთახი 6 კომპიუტერით, 1 პრინტერი, ადმინისტრაციის ოთახი, სველი წერტილები. აუდიტორიებს ჰქონდათ ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, გათბობა კი ხდებოდა ელექტროღუმელების მეშვეობით. ამ ინფორმაციას წერილობით ადასტურებდა წარმომადგენლობის დირექტორი, ლია ცარციძე, რაც ექსპერტებმა დასკვნას დაურთეს.

ქ. ხაშურში ვიზიტის დროს, ექსპერტებმა ასევე დაადასტურეს, რომ ფილიალი ფუნქციონირებდა. ვიზუალური დათვალიერებით დაფიქსირდა 5 სასწავლო აუდიტორია, დაფები, 20 ორადგილიანი მერხი, 55 სკამი, კომპიუტერების ოთახი - 6 კომპიუტერით, 1 პრინტერი, ადმინისტრაციის ოთახი, სველი წერტილები. აუდიტორიები უზრუნველყოფილი იყო ბუნებრივი განათებით და გათბობით. ინფორმაციას წერილობით ადასტურებდა წარმომადგენლობის დირექტორი, ივანე მთვარელიძე, რომელმაც ექსპერტებს განუცხადა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობდა საბუთების მიღება სპეციალობებზე - კრიმინალისტიკა, პრაქტიკოსი მედდა, ოფის მენეჯერი. მისი თქმით, სასწავლო პროცესი უნდა დაწყებულიყო 1 ოქტომბერს. კურსების თეორიული ნაწილის სწავლება იგეგმებოდა ხაშურში, პრაქტიკის განხორციელება კი თბილისში. ფართის მოცულობა იყო 200 კვ. მ.

ქ. ზესტაფონში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რის შედეგადაც დაადასტურეს, რომ აღნიშნულ მისამართზე ყოფილა ეტალონის წარმომადგენლობა, მაგრამ უკვე 3 წელი იყო, რაც აღარ ფუნქციონირებდა.

რაც შეეხებოდა ფართებისა და მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, ეტალონის რეგიონალური წარმომადგენლობების ყველა დირექტორმა განაცხადა, რომ ინახებოდა ეტალონის სათაო ოფისში, თბილისში, ბატონ ზვიად ხაჭაპურიძესთან. ექსპერტები ზვიად ხაჭაპურიძეს ტელეფონის მეშვეობით გაესაუბრნენ და გადმოაგზავნინეს ამონაწერები საჯარო რეესტრიდან, რაც ერთვის დასკვნას.

თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა შეფასება, ზოგადად, რა პრობლემები დაფიქსირდა ვიზიტისას.

ექსპერტმა, ზურაბ ჩხიკვაძემ უპასუხა, რომ იმ ფართებზე, სადაც რემონტი მიმდინარეობდა, შეფასება შეუძლებელი იყო. მონიტორინგის მიზანი იყო გადამოწმება, მართლაც ახორციელებდა თუ არ დაწესებულება სასწავლო პროცესს ავტორიზაციის გარეშე.

ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა დაადასტურა ექსპერტის სიტყვები და აღნიშნა, რომ მონიტორინგის საფუძველი იყო საინფორმაციო ბუკლეტი, სადაც დაფიქსირებული იყო ის მისამართები, რომლებზეც კოლეჯს არ ჰქონდა სწავლების უფლება.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ ექსპერტებს მიმართა, დაინტერესდნენ თუ არა, რა პროგრამებს ახორციელებდა დაწესებულება აღნიშნულ მისამართებზე, საკმარისი იყო თუ არა ის რესურსი პროგრამებით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად, რაც დახვდათ ადგილზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ 6 მისამართიდან, მხოლოდ ერთს ჰქონდა მინიჭებული ავტორიზაცია, ვიზიტის მიზანი იყო ინფორმაციის გადამოწმება, ფუნქციონირებდა თუ არა დანარჩენი ფილიალები.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ, აღნიშნა, რომ ვიზიტი ჩატარდა სექტემბერში, მაშინ, როდესაც პროფესიულ სასწავლებლებში სწავლა ჯერ არ იყო დაწყებული. ავტორიზაციის ყველა სტანდარტის შესამოწმებლად, საჭირო იყო მონიტორინგის სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ განხორციელება, სხვა შემთხვევაში საბჭოს გაუჭირდებოდა საკითხზე მსჯელობა.

მაია ჩიხლაძემ ასევე დაამატა, რომ საინფორმაციო ბუკლეტში მითითებული 15 მისამართიდან გაუგებარი იყო, რატომ შეირჩა მხოლოდ 6, რომელშიც განხორციელდა ვიზიტი.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ ჯგუფმა შეამოწმა ის, რაც ცენტრის დირექტორის ბრძანებით დაევალათ.

ცენტრის თანამშრომლის, ლევან მადათოვის განცხადებით, ფაქტი, რომ დაწესებულება ცენტრის თანხმობის გარეშე ახორციელებდა გარკვეულ რეგიონებში სასწავლო პროცესს, წარმოადგენდა კანონმდებლობის დარღვევას.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ, განაცხადა, რომ მათ არ ევალებოდათ მატერიალური რესურსების შემოწმება, ბრძანების მიხედვით, 6 ადგილას იყვნენ 2 დღის განმავლობაში.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ აღშფოთება გამოთქვა, მისი თქმით, წარმოუდგენელი იყო, ექსპერტები არ დაინტერესებულიყვნენ რა პროგრამებს ახორციელებდა დაწესებულება. მან ექსპერტებს კითხვით მიმართა, თუ ნახეს აუდიტორიები და ტექნიკა.

ექსპერტებმა უპასუხეს, რომ ის შენობები მოინახულეს, სადაც იყო საშუალება, აუდიტორიები და იქ არსებული მერხებიც დაათვალიერეს, ხოლო სადაც რემონტი მიმდინარეობდა, მერხები ცალკე იყო დასაწყობებული. მათ აღნიშნეს, რომ ვიზიტის პერიოდიც ცენტრის მიერ იყო შერჩეული.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ განაცხადა, რომ ფუნქციონირებაში ბევრი რამ მოიაზრებოდა და მხოლოდ მისამართების გაგება ტელეფონის მეშვეობითაც იყო შესაძლებელი. საბოლოო ჯამში გამოდიოდა, რომ ექსპერტებმა დაადასტურეს ის, რომ კოლეჯის ფილიალები ფუნქციონირებდნენ, თუმცა არ ჰქონდათ ამისი უფლება.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ, წაიკითხა საბჭოს 2012 წლის გადაწყვეტილება, რის მიხედვითაც კოლეჯს თავის დროზე მიენიჭა ავტორიზაცია და კონტინგენტი განესაზღვრა 1144 სტუდენტით. მან ამოიკითხა ის მისამართები, რომელიც შემოწმებული იყო ვიზიტის შედეგად და რომელზეც ჰქონდა სწავლების უფლება - თბილისი, გორი, ქუთაისი, ბათუმი და თელავი. დანარჩენ ფილიალებში კი სწავლება უკანონოდ მიმდინარეობდა, ამასთან, თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშის საშუალებით, კოლეჯს 2012 წლიდან სამი წლის განმავლობაში შეეძლო დაეფიქსირებინა, რომ ფართი დაიმატა, რაც არ გაუკეთებია. მაია ჩიხლაძის თქმით, დაწესებულების 4 ფილიალის შესახებ - ხობში, გურჯაანში, რუსთავსა და მარნეულში საერთოდ არ იყო ინფორმირებული.

საბჭოს წევრმა, ელგუჯა მელაძემ განაცხადა, რომ ბევრი კითხვა ჰქონდა დაწესებულების მიმართ. მან უკმაყოფილება გამოთქვა და ცენტრის მენეჯმენტი დაადანაშაულა წინა სხდომაზე დაწესებულების წარმომადგენლის არგამოცხადების შესახებ კორესპონდენციის საბჭოსთვის მიუწოდებლობის გამო, და აღნიშნა, გაუგებარი იყო, რატომ უნდა ეარსება დაწესებულებას ისე, რომ ავტორიზაცია არ ჰქონოდა მინიჭებული, ელგუჯა მელაძის თქმით, ამ საკითხით უკვე სხვა ორგანოები უნდა დაინტერესებულიყვნენ.

კოლეჯის დირექტორმა, ზვიად ხაჭაპურიძემ, ითხოვა მოსაზრების გამოთქმისა და პასუხის გაცემის საშუალება. მან განაცხადა, რომ წინა კვირას, როდესაც საბჭოზე მათი საკითხი უნდა განხილულიყო, ვერ გამოცხადდა ექიმის რეკომენდაციის გამო, რადგან მას გულის ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული და წნევა აწუხებდა. წერილი ცენტრში კი 11-ის ნახევარზე შემოიტანეს.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ კოლეჯის დირექტორს მიმართა შეკითხვით, რატომ სხვა წარმომადგენელი არ იყო გამოგზავნილი სხდომაზე, ვინც წარადგენდა დაწესებულებას.

ზვიად ხაჭაპურიძემ უპასუხა, რომ ასეთი წარმომადგენელი არ ჰყავდა. მაია ჩიხლაძემ აღშფოთება გამოთქვა, როგორ შეიძლებოდა, 15 ფილიალიდან არც ერთი წარმომადგენელი არ ჰყოლოდა, იურისტი მაინც.

კოლეჯის დირექტორმა, ზვიად ხაჭაპურიძემ დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით განმარტა: ზესტაფონში არ შეგროვდნენ სტუდენტები, შესაბამისად, გამოირიცხა ზესტაფონის წარმომადგენლობის გახსნა. ოზურგეთში, სადაც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა, სწავლის პროცესი არ ყოფილა და ექსპერტებს ფილიალებში არც სწავლის პროცესი, არც ლექცია უნახავთ. ოზურგეთში მდებარე შენობა აგვისტოში ჰქონდა აღებული სილქნეტისგან იმ პირობით, რომ თანხის გადახდას მანამდე არ დაიწყებდა, სანამ ბავშვები არ შეგროვდებოდნენ.

ამ ფართზეც, 4 მსურველზე მეტი არ გამოჩნდა, რის გამოც, ოზურგეთის ფილიალიც არ ფუნქციონირებდა.

ზვიად ხაჭაპურიძემ აღნიშნა, რომ სხვა ფართებთან დაკავშირებით, 2014 წლის 28 თებერვალს ცენტრს მიწერა წერილი, სადაც აცნობებდა, რომ აპირებდა წარმომადგენლობების გახსნას. მან დაამატა, რომ მას ჰქონდა უფლება ჰქონოდა ფილიალები, რომლებიც არ ახორციელებდნენ სასწავლო პროცესს, მაგალითად კვლევითი ცენტრები.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რა იყო ცენტრის პასუხი აღნიშნულ წერილზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მან ცნობის სახით წარმოადგინა, რომ ჰქონდა წარმომადგენლობები, თუმცა პირველ ეტაპზე საჭირო იყო რეგიონებში მოთხოვნების შესწავლა, რის საკვლევადაც შეიქმნა ჯგუფები. მხოლოდ ამ საკითხის შესწავლის შემდეგ გახდებოდა საჭირო შესაბამისი ქმედებების განხორციელება სასწავლო პროცესის დასაწყებად.

ზვიად ხაჭაპურიძემ დაამატა, რომ ერთი თვის წინ ცენტრში შემოიტანა განაცხადი, სადაც აფიქსირებდა ფართის დამატებას და ითხოვდა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფს განეხორციელებინა ვიზიტი.

საბჭოს წევრი, ლიანა ზამბახიძე დაინტერესდა, რის საფუძველზე დაიწყო კოლეჯმა მზადება სწავლის პროცესისთვის.

ზვიად ხაჭაპურიძემ უპასუხა, რომ მას ჰქონდა უფლება განეხორციელებინა სერტიფიცირებული სწავლება, რაზეც სულაც არ იყო საჭირო ავტორიზაციის გავლა ან სხვა ნებართვა. პირველ ეტაპზე კი ჯერ რეკლამას აკეთებდა სტუდენტების მოსაზიდად.

საბჭოს წევრმა, ლიანა ზამბახიძემ აღნიშნა, რომ გაუგებარი იყო კოლეჯის პოლიტიკა - ჯერ სტუდენტები მოეპოვებინა, შემდეგ სწავლების უფლება.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ სარეკლამო ბუკლეტიდან ამოიკითხა ფრაზა, რომლის თანახმადაც, კოლეჯ ეტალონის კურსდამთავრებულები მიიღებდნენ სახელმწიფო დიპლომს. მაია ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ ბუკლეტში 15-ივე წარმომადგენლობის მისამართი იყო მითითებული და დაწესებულება თავიდანვე მცდარ ინფორმაციას აწვდიდა და შეცდომაში შეჰყავდა საზოგადოება, მისთვის წარმოუდგენელი იყო 15-ივე შენობის დამატება აგვისტოში როგორ იყო შესაძლებელი.

კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ დაარიგეს ბუკლეტები და აწარმოეს სარეკლამო კამპანია, რათა მსურველებისთვის ხმა მიეწვდინათ. სხვანაირად კი ვერ დაწერდნენ, რომ მომავალში შეიქმნებოდა კოლეჯი, რომელიც გაივლიდა ყველა სტანდარტს.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ აღნიშნა, რომ კოლეჯის წარმომადგენლების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. მან კითხვით მიმართა დირექტორს, თუ მოვიდოდა მაგალითად 150 მოსწავლე, განახორციელებდნენ სწავლებას თუ სხვა ფართს დაიქირავებდნენ.

კოლეჯის დირექტორმა, ზვიად ხაჭაპურიძემ უპასუხა, რომ იმ ბავშვებს, ვინც სწავლის სურვილს გამოთქვამდა, ეუბნებოდნენ, რომ სტუდენტები მას შემდეგ გახდებოდნენ, რაც მიიღებდნენ ავტორიზაციას. განაცხადი კი უკვე შეტანილი ჰქონდათ ცენტრში.

მამია ჯანჯალიამ აღნიშნა, რომ ეს ნიშნავდა, რომ კოლეჯი სასწავლო პროცესს გეგმავდა და განმარტება წარმომადგენლობის შესახებ, რომელიც არ გულისხმობდა სასწავლო პროცესის განხორციელებას, არ შეესაბამებოდა სიმართლეს.

კოლეჯის დირექტორმა, ზვიად ხაჭაპურიძემ განმარტა, რომ მას შეეძლო გაეხსნა წარმომადგენლობა მაგალითად ტყვიავში და არ განეხორციელებინა სწავლება, ან გაეცა სერტიფიკატი.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში რატომ არ დააფიქსირეს თვითშეფასების ანგარიშში ფართი დამატების შესახებ ინფორმაცია. მისი თქმით, ცხრა წარმომადგენლობის გახსნა შეუძლებელი იყო მხოლოდ ორი თვის განმავლობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ფართები არ დაიმატეს, უბრალოდ აიღეს წინა წლის განმავლობაში, მაგრამ იმის გამო, რომ მოკვლევა მიმდინარეობდა, არ მიუთითებიათ თვითშეფასების ყოველწლიურ ანგარიშში.

მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ უამრავი მოწმე არსებობდა იმისა, რომ სწავლა ხორციელდებოდა ამ ფილიალებში, მაგრამ ამის გარდა ისიც იწვევდა ეჭვს, რომ ხაშურის ფილიალის სტუდენტები პრაქტიკას თბილისში გაივლიდნენ.

ზვიად ხაჭაპურიძემ უპასუხა, რომ მას ჰქონდა საერთო საცხოვრებელი, სადაც ჩამოჰყავდა ბავშვები და უფასოდ აცხოვრებდა. სტუდენტები დადიოდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთერთი კორპუსის ლაბორატორიაში. ამჟამად შეტანილი ჰქონდა ცენტრში განაცხადი ფართის დამატებაზე და ელოდებოდა ექსპერტებს.

მაია ჩიხლაძემ მარნეულის ფილიალთან დაკავშირებით ითხოვა განმარტება, რადგან მისი თქმით, ზუსტად იცოდა, რომ მარნეულსა და რუსთავში ხორციელდებოდა სწავლების პროცესი.

ზვიად ხაჭაპურიძემ უპასუხა, რომ ამ ფართის დამატებაზეც დააფიქსირა მოთხოვნა ცენტრში გაგზავნილ წერილში.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა როდის იყო შემოტანილი აღნიშნული განაცხადი. ზვიად ხაჭაპურიძემ უპასუხა, რომ 8 სექტემბერს შეიტანა წერილი.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა ვიზიტი როდის მიმდინარეობდა. ვიზიტის პერიოდი იყო 8-9 სექტემბერი.

ზვიად ხაჭაპურიძემ განაცხადა, რომ მან მხოლოდ მაშინ გაიგო ექსპერტების ვიზიტის შესახებ, როდესაც უკვე მიდიოდნენ.

ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა განმარტა, რომ ცენტრი არ იყო ვალდებული, მონიტორინგის ვიზიტის შესახებ გაეფრთხილებინა დაწესებულება.

საბჭოს წევრი, საბა სარიშვილი, გაეცნო ცენტრის პასუხს 2014 წელს დაწესებულების მიერ შემოტანილ წერილზე, სადაც ცენტრი კოლეჯს სთხოვდა, აეხსნა, რას გულისხმობდა წარმომადგენლობებში. საბა სარიშვილი დაინტერესდა, თუ უპასუხეს კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნულ კორესპონდენციას.

კოლეჯის დირექტორმა, ზვიად ხაჭაპურიძემ, აღნიშნა, რომ მას სატელეფონო საუბარი ჰქონდა ცენტრის წარმომადგენელთან და კონსულტაციაზეც იყო მისული.

საბა სარიშვილი დაინტერესდა, რა სერტიფიკატი გასცა დაწესებულებამ იმ სტუდენტებზე, რომლებმაც, ექსპერტების დასკვნის მიხედვით, 2014 წელს სწავლობდნენ.

დაწესებულების დირექტორმა უპასუხა, რომ არ გაუცია არანაირი სერტიფიკატი.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ აღშფოთება გამოთქვა და კოლეჯის დირექტორს მიმართა, რომ ვერ მისცემდა უფლებას, შეურაცხყოფა მიეყენებინა განათლების სისტემისთვის. მისი თქმით, კარგად იცოდა რა ხდებოდა რეგიონებში და მისთვის წარმოუდგენელი იყო, ბავშვები ერთი წლის განმავლობაში ეტარებინათ, ფული მიეღოთ და ელემენტარული საბუთიც არ მიეცათ. მამია ჯანჯალიას თქმით, აღნიშნული საკითხი უკვე სხვა ორგანოებში იყო განსახილველი.

საბჭოს წევრმა, ლიანა ზამბახიძემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, როგორ წარმოედგინათ სტუდენტის დასაქმება, როდესაც მას არანაირი საბუთი არ ექნებოდა, იმის ფონზე, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებსაც უჭირდათ სამსახურის პოვნა.

კოლეჯის დირექტორმა უპასუხა, რომ საბუთს წელს მისცემდნენ.

საბჭოს წევრმა, ელგუჯა მელაძემ განაცხადა, რომ თვითონ წარმოადგენდა დამსაქმებელს და არც ერთი კომპანია არ აიყვანდა იმ დაწესებულების კურსდამთავრებულს, რომლის მიმართაც ნდობა არ იარსებებდა.

საბჭოს წევრი ლიანა ზამბახიძე დაინტერესდა კიდევ ერთი გარემოებით: ექსპერტების დასკვნაში მითითებული იყო, რომ სასწავლო პროცესი დაიწყებოდა 1 ოქტომბერს. მან

დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა დღევანდელი მდგომარეობით, 20 ოქტომბერს დაწყებული იყო თუ არა სწავლის პროცესი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ უნდა დაწყებულიყო 20 ოქტომბერს, ექსპერტების დასკვნა მომზადებული იყო სექტემბერში.

ლიანა ზამბახიძემ აღნიშნა, რომ ისეთი საკითხები იკვეთებოდა, რაც საბჭოს უფლებამოსილებას სცდებოდა.

სხდომის თავმჯდომარე, საბა სარიშვილი, მიუბრუნდა 2014 წლის წერილების საკითხს. მან დაწესებულებას მიმართა, რომ პასუხი არ იყო მათი მხრიდან გაცემული ცენტრის წერილზე, თუ რას გულისხმობდნენ წარმომადგენლობების გახსნაში.

დაწესებულების დირექტორმა, უპასუხა, რომ ის პირადად იყო მისული ცენტრში და ცენტრის მაშინდელ დირექტორს, ელენე ჯიბლაძეს ესაუბრა და დიდი შექება დაიმსახურა იმის გამო, რომ დაბალ ფასად ასწავლიდა და რეგიონებში განათლება შეჰქონდა.

საბჭოს წევრებისთვის გაუგებარი იყო, რატომ წერილობითი პასუხი არ გასცეს კოლეჯის წარმომადგენლებმა ცენტრის კორესპონდენციას. საბჭოს წევრების მოსაზრებით, სიტყვიერი შეთანხმება დოკუმენტს არ წარმოადგენდა.

ზვიად ხაჭაპურიძემ აღნიშნა, რომ არ იყო მომზადებული მსგავსი საუბრისთვის და იურისტთან გაივლიდა კონსულტაციას. მისი თქმით, რეგიონებში კოლეჯების გახსნა კარგი საქმიანობა იყო.

სხდომის თავმჯდომარემ, საბა სარიშვილმა უპასუხა, რომ საჭირო იყო მოთხოვნების დაცვა და სტანდარტების დაკმაყოფილება.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ განაცხადი უკვე შეტანილი ჰქონდა ცენტრში და ყველა კანონის დაცვით მზად იყო, მიეღო ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რის შემდეგაც, თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ეტალონში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და სხდომაზე გამოვლენილი გარემოებები არ იძლეოდა საკმარის ინფორმაციას გადაწყვეტილების მისაღებად. საბჭომ მოითხოვა საკითხის გადადება მანამ, სანამ ცენტრი არ განახორციელებდა მონიტორინგს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ეტალონის" ყველა ფილიალში და არ შემუშავდებოდა დასკვნები, რომლებშიც შეფასებული იქნებოდა დაწესებულების თითეული წარმომადგენლობის მდგომარეობა ავტორიზაციის სამივე სტანდარტთან მიმართებით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ავტორიზაციის საბჭოს შემდგომ სხდომამდე გადავადდეს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

2. შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მათ დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შორენა ჯაფარიძემ წარადგინა. მან აღნიშნა, რომ საერთო სურათის გათვალისწინებით, დასკვნა დადებითი იყო, ერთადერთი შენიშვნა, რომელიც დაფიქსირდა პროგრამულ ნაწილში, მოიცავდა ტექნიკური ხასიათის უზუსტობას არჩევით მოდულურ პროგრამასთან მიმართებაში.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ავტორიზებულ მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ „იმედს" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 31 ოქტომბრის N28 გადაწყვეტილებით მიენიჭა 13 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება და განესაზღვრა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 230 სტუდენტის ოდენობით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ დაწესებულება ახორციელებდა სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს: ექთნის თანაშემწე, კბილის ტექნიკოსი, მასაჟისტი, ბუღალტერი, საბაჟო წარმომადგენელი (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი), ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი). დაწესებულებამ ავტორიზაციისათვის წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური პროგრამა), რომელიც დამტკიცებული იყო დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 18 აგვისტოს N 33 ბრძანებით.

ექსპერტის განმარტებით, პრაქტიკოსი ექთნის მოდულურ პროგრამას ჰქონდა თანმიმდევრული სტრუქტურა, ერთვოდა სასწავლო გეგმა, რომელშიც ასახული იყო მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა. სასწავლო გეგმა შედგენილი იყო მოდულების წინაპირობების, სტუდენტთა კვირეული დატვირთვის (32 დან 38 საათამდე კვირაში) გათვალისწინებით, ასევე მოდულების დამხმარე ჩანაწერების ნაწილში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესაბამისად. სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყო მოდულების პარალელურ რეჟიმში სწავლება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, კოლეჯს 5 წლის ვადით, გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება 7 დაწესებულებასთან.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ მოდულები შედგენილი იყო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 28 ივლისის N536 ბრძანებით დამტკიცებული პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტების მცირეოდენი მოდიფიკაციის საფუძველზე, დადგენილი წესების სრული დაცვით. პროგრამაში აღმოჩენილი ტექნიკური ხარვეზის შესახებ ექსპერტთან ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთერთი არჩევითი მოდული - „შინმოვლა (4 კრედიტი), აღებული იყო ექთნის თანაშემწის მოდულური პროგრამიდან. აღნიშნულ მოდულში არ იყო სრულად წარმოდგენილი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 28 ივლისის N536 ბრძანებით დამტკიცებული ექთნის თანაშემწის პროგრამის „შინმოვლის" მოდულის ზოგადი ინფორმაციის ნაწილი, კერძოდ, არ ჰქონდა მითითებული მოდულის რეგისტრაციის

ნომერი, მისი გამოქვეყნების თარიღი და ევროპულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს კვალიფიკაციის დონესთან შესაბამისობა. შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ უზუსტობა გამოსწორებულ იქნა ექსპერტთა ვიზიტის დროს დირექტორის 2015 წლის 8 ოქტომბრის N44 ბრძანების საფუძველზე.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 ექსპერტის განაცხადით, საზოგადოებრივ კოლეჯ იმედს იჯარის ხელშეკრულებით ჰქონდა აღებული 650 კვ.მ. ფართი. დაწესებულებაში შექმნილი იყო საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ყველა აუდიტორია და კაბინეტი უზრუნველყოფილი იყო ბუნებრივი განათებით, ყველა ოთახში არსებობდა ელექტრო გამათბობელი საშუალებები.

აღებული ფართი გამოიყენებოდა დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამებოდა დაწესებულების მიერ განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარადგინა პრაქტიკოსი ექთნის პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისობაში იყო ექთნის სტანდარტული პროგრამით გათვალისწინებულ მინიმალური აღჭურვილობის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით, ვიზიტის დროს განახორციელა მოდულებში მითითებული ტექნიკური აღჭურვილობის, როგორც ვიზუალური დათვალიერება, ასევე ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლა, რის საფუძველზეც დადასტურდა, რომ დაწესებულებას ჰქონდა სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი.

ექსპერტის თქმით, დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება შვიდ ორგანიზაციასთან. გადამოწმდა საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ობიექტები - შპს გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრი და შპს კლინიკა მცხეთის ქუჩაზე. დაწესებულებების დირექტორებთან (ქ-ნი ქეთევან ბეჟანიშვილი, ბ-ნი მერაბ ბოხუა) ადგილზე გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულებებს ჰქონდათ სტუდენტებთან მუშაობის გამოცდილება, შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მატერიალური და ადამიანური რესურსი, ასევე, ეს ობიექტები განიხილავდნენ საკითხს წარჩინებულ სტუდენტთა დასაქმების საკითხს.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით, დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობებს, რაც დასტურდებოდა მათი პირადი საქმეების გადამოწმებით.

შორენა ჯაფარიძის განცხადებით, დირექტორის 2015 წლის 20 აგვისტოს N39 და 2014 წლის 10 სექტემბრის N26 ბრძანებების თანახმად, წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფდა 38 მასწავლებელი. დღეისათვის დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტების რაოდენობა შეადგენდა - 150, ხოლო პროფესიულ მასწავლებელთა საერთო რაოდენობა - 52-ს.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედისათვის პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206156817) მიენიჭოს უფლებამოსილება, დამატებით განხორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	პრაქტიკოსი ექთანი	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	147	მეხუთე	40

3. შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მათ დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ - თამარ რემიშვილმა. მან განაცხადა, რომ საერთო სურათის გათვალისწინებით, დასკვნა დადებითი იყო.

ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი დღესდღეობით ახორციელებდა 11 ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. ვიზიტის დროს კოლეჯმა წარმოადგინა უფლებამოსილი პირის, შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი) IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ექსპერტის განმარტებით, პროგრამა მოიცავდა დასახელებას, მიმართულებას, პროფესიული განათლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, მოცულობას კრედიტებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, მიზნებს, სწავლის შედეგებსა და მათ რუკას, სასწავლო გეგმას და პროგრამის განხორციელების სპეციფიკას/ხანგრძლივობით, ინფორმაციას პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) შესახებ, სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდებს, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემასა და შეფასების მეთოდებს, ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, დასაქმების სფეროსა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის აღწერილობას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პროგრამის ადამიანური რესურსის აღწერილობას. პროგრამა შედგენილი იყო ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, ჰქონდა თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა. პროგრამის ფარგლებში სასწავლო პრაქტიკა ხორციელდებოდა დაწესებულებაში, რომლისთვისაც გამოყენებული იქნება პროგრამა eCustoms-ით უზრუნველყოფილი კომპიუტერული კაბინეტი, სადაც პროფესიული სტუდენტები განახორციელებდნენ საბაჟო სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი დოკუმენტაციის შედგენას, შაბლონების სწორად შევსებას, ინტერნეტის გამოყენებას პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით. საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით „შემოსავლების სამსახურსა“ და კოლეჯს შორის 2014 წლის 1 აპრილს გაფორმებული იყო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, „შემსრულებელი“ იღებდა ვალდებულებას, საწარმოო პრაქტიკაზე მიეღო „დამკვეთის“ პროფესიული სტუდენტები და უზრუნველეყო მათი პრაქტიკული სწავლება. დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა 18/05/2015 და 29/06/2015 შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებები პ-755 და პ-967, საბაჟო წარმომადგენელი (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი) III საფეხურის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკანტებად დანიშვნის შესახებ, რომლის საფუძველზეც 39 პროფესიულმა სტუდენტმა გაიარა საწარმოო პრაქტიკა საბაჟო გამშვებ პუნქტ "სარფში". თამარ რევიშვილის განცხადებით, ვიზიტის პერიოდში საწარმოო პრაქტიკის ობიექტების ვიზუალური დათვალიერება ვერ მოხერხდა ობიექტების სპეციფიკიდან გამომდინარე.

კოლეჯის ფართი აღჭურვილი იყო სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ინვენტარით. შენობაში განთავსებულია სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, კომპიუტერული კლასები და სამუშაო ოთახები პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის. სასწავლო პრაქტიკის უზრუნველყოფისთვის 13 კომპიუტერი გამართული იყო eCustoms პროგრამაში მუშაობისათვის, სადაც პროფესიული სტუდენტები განახორციელებენ საბაჟო სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი დოკუმენტაციის შედგენას, შაბლონების სწორად შევსებას, ინტერნეტის გამოყენებას პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით. კოლეჯში იყო საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო; ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათება ყველა სასწავლო ოთახში, შენობის გათბობა ხორციელდება ელექტრო ღუმელების საშუალებით (24). ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაგეგმილი ჰქონდათ ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟება და ამისათვის კოლეჯის წარმომადგენელმა წარმოადგინა ხელშეკრულება მონტაჟის შესახებ გაფორმებული 10.04.2014 შპს „აირმშენსერვისთან". კოლეჯს შემუშავებული და შესაბამისად დირექტორის მიერ დამტკიცებული ჰქონდა საქმისწარმოების წესი, ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობებს. კოლეჯში დასაქმებული იყო 74 ადამიანი: 52 მასწავლებელი, 22 ადმინისტრაციის თანამშრომელი და დამხმარე პერსონალი. მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობას.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლისთვის საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი) მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელს (საიდენტიფიკაციო კოდი: 245409838) მიენიჭოს უფლებამოსილება, დამატებით განხორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	საბაჟო წარმომადგენელი (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი)	IV	საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

4. შპს დავით აღმაშენებლის აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მათ დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თეა შაყულაშვილმა. ვიზიტი განხორციელდა 2015 წლის 5-6 სექტემბერს. შპს დავით აღმაშენებლის აკადემიას განაცხადი შემოტანილი ჰქონდა ორი პროგრამის დამატების მოთხოვნით. გადამოწმდა როგორც პროგრამების, ასევე მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შესაბამისობა. ყურადღება გამახვილებულ იქნა პროგრამულ ნაწილზე კერძოდ, უცხოენოვან პროგრამაზე.

პრობლემური იყო მატერიალური რესურსის შესაბამისობა სტანდარტებთან. ექსპერტთა ვიზიტის პირველ დღეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო არ იყო. უფლებამოსილი პირის განმარტებით, შეძენილი ჰქონდათ ადაპტირებული სველი წერტილისთვის საჭირო ინვენტარი და პანდუსები, რომელთა დამონტაჟებაც დაიწყო ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში. დასკვნის წარდგენის დასრულებისას საბჭოს წევრმა იკითხა, როდის ჰქონდა დაწესებულებას ავტორიზაცია გავლილი. აკადემიამ ავტორიზაცია გაიარა 2012 წელს. რაც შეეხება სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნას, დაწესებულებამ იზრუნა იმაზე, რომ ჰქონოდა ორი ადაპტირებული სველი წერტილი შშმ პირებისთვის. საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რომელ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან იყო გაფორმებული ხელშეკრულება პროგრამის შეწყვეტის შემთხვევაში. დაწესებულებას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული საზოგადოებრივ კოლეჯ მერმისთან.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შეიცვალა მისამართი, რის შესახებაც ცენტრს არ ჰქონდა ინფორმაცია. ამ ფაქტის შესახებ ცენტრმა შეიტყო ვიზიტის პერიოდში. აქედან გამომდინარე, დადგა აღნიშნული საკითხის გადადების საჭიროება, რადგან შეუძლებელი იყო ავტორიზაციის სამივე სტანდარტის შესაბამისობის დადასტურება. ექსპერტთა დასკვნა შემუშავებული იყო პროგრამის დამატების განხილვის ჭრილში, ახალი ფართის ავტორიზაციის სამივე სტანდარტთან შესაბამისობა კი დადგენილი არ იყო.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით აღმაშენებლის აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის გადადება, სანამ არ იქნებოდა განხილული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სამივე სტანდარტთან მიმართებაში.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ავტორიზაციის საბჭოს შემგომ სხდომამდე გადავადდეს შპს დავით აღმაშენებლის აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

5. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მათ დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თეა ნადირაძემ. დაწესებულებამ წარადგინა განაცხადი ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1. დაწესებულებაში შექმნილი იყო მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი, რომელშიც განსაზღვრული იყო შემდეგი სახის ინფორმაცია: პროგრამის დასახელება, პროფესიული განათლების საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კრედიტების რაოდენობა, პროფესიული სტუდენტების სასწავლო საქმიანობა, პროფესიული სტუდენტების ცოდნის შეფასება, კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა, სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები სწავლის შედეგები. წარმოდგენილ კატალოგში გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები არ იყო შესაბამისი პროგრამითა და შესაბამისი მოდულებით განსაზღვრული სწავლება-სწავლის მეთოდებისა. დაწესებულების წარმომადგენლებმა ვიზიტის დროს კატალოგში შეიტანეს შესაბამისი შესწორებები.

1.2. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული იყო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენი შეფასების ფორმები. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების განხორციელება მოიცავდა ორ ეტაპს: პროგრამის მიმდინარეობისას და პროგრამის დასრულებისას შემდეგი ანკეტა-კითხვარების გამოყენებას: 1) პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ საგანმანთლებლო პროგრამების შემოწმების და ხარისხის გაუმჯობესების; 2) პროფესიული სტუდენტის თვითშეფასების; 3) პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული მასწავლებლის შეფასების ანკეტა-კითხვარები. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში შემუშავებული იყო ხარისხის მექანიზმები, არ იყო უზრუნველყოფილი მათი დანერგვა, კითხვარები არ იყო შევსებული და არ არსებობდა შეფასების შედეგები, შესაბამისად, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების პროცედურები არ ხორციელდებოდა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1. დაწესებულებაში იყო ცალკე აუდიტორია, რომელშიც განთავსებული იყო სათანადო სკამები და მაგიდები, შესაბამისი რაოდენობით დაფა, პროექტორი, კომბაინი (3 ცალი), გამომთვლელები (18ც), ნოუთბუქი. მატერიალური რესურსი გადაცემული იყო ჩუქების აქტით, რომელშიც განსაზღვრული იყო ინვენტარის ჩამონათვალი, მაგრამ არ იყო მითითებული ინვენტარის მახასიათებლები, შესაბამისად, ვიზიტის დროს ვერ დადგინდა მოდულით განსაზღვრული კომპიუტერის მახასიათებლები (კომპიუტერი არანაკლებ 2 გბ. ოპერატიული მეხსიერებით, არანაკლებ 320 გბ. მყარი დისკი, კომპიუტერი - 1 გბ. ოპერატიული მეხსიერებით, 160 გბ. მყარი დისკით).

ვიზიტის დროს დაწესებულებას არ დაუდასტურდა ტექნიკური აღჭურვილობის ფლობა. მაგალითად: მოდულში „ნაღდი ანგარიშსწორების ოპერაციები" განსაზღვრული მინიმალური

ტექნიკური აღჭურვილობა (რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა გააჩნდეს საკუთრებაში/მფლობელობაში პროგრამის განხორციელების ძირითად ადგილზე) ფულის სათვლელი მანქანა და სალარო აპარატი. კოლეჯის წარმომადგენლის განმარტებით, სალარო აპარატი ჰქონდათ, თუმცა შესყიდვის აქტით არ უდასტურდებოდათ. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ფულის სათვლელი მანქანის გამოყენებით სწავლების უზრუნველყოფა საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე ხდებოდა, თუმცა აღნიშნული საკმარისი არ იყო პროგრამის მიზნების მისაღწევად. დაწესებულების ბიბლიოთეკაში არ იყო ხელმისაწვდომი ინტერნეტი. პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების წლიურ ანგარიშშიც არ იყო აღწერილი.

2.2. დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) ნაწილობრივ შეესაბამებოდა ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას, რამდენიმე მოდულში მითითებული ძირითადი სახელმძღვანელოები ჩანაცვლებული იყო სავარაუდო შესატყვისი ლიტერატურით, რომელიც გაფორმებული იყო საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, ჰქონდა ბიბლიოთეკის ბეჭედი და შეტანილი იყო საინვენტარო წიგნში (აკინძული, დანომრილი, ბეჭდით). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯის მიერ წარმოდგენილი წიგნების შესყიდვის/ჩუქების ხელშეკრულებების დანართებში მხოლოდ შეძენილი წიგნების რაოდენობა (11 ცალი) იყო მითითებული და არ იყო დაზუსტებული კონკრეტული ჩამონათვალი. დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა საბიბლიოთეკო ელექტრონულ მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულება საზოგადოებრივ კოლეჯ „ფანასკერტელის" სახელით (რომლის სამართალმემკვიდრეა საზოგადროებრივი კოლეჯი „ლიდერი") აღნიშნული შეთანხმება ხელმოწერილი იყო 2013 წლის 10 აგვისტოს და მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 15 დღით, შესაბამისად ვიზიტის დროს საბიბლიოთეკო სისტემის გამოყენებაზე წერილობითი შეთანხმება არ დასტურდებოდა, თუმცა დაწესებულების სივრციდან ბიბლიოთეკის „Openbiblio"-ს მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელი იყო.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 დაწესებულებას ჰქონდა შვიდი საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიულ სტუდენტთა განსაზღვრული რაოდენობა შეადგენდა 300-ს. ვიზიტის დროს დაწესებულებას ჰყავდა 150 პროფესიული სტუდენტი, 32 მასწავლებელი. მოდულური პროგრამების მიზნებისათვის დამატებით შერჩეულ იქნა ხუთი მასწავლებელი, თუმცა ამ პროგრამის განმახორციელებლად დაფიქსირებული იყო 11 მასწავლებელი. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული იყო მასწავლებელთა შერჩევის წესი, რომელიც ითვალისწინებდა დირექტორის ბრძანების საფუძველზე კანდიდატთა შერჩევას. შერჩევისთვის შექმნილი იყო საკონკურსო კომისია. 2015 წლის 13 ივლისს დირექტორის ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული იყო კონკურსი, აღნიშნულ ბრძანებაში განსაზღვრული იყო წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, წარმოდგენის ვადები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა. კონკურსის ჩატარების დოკუმენტაციით არ დასტურდებოდა კონკურსში რამდენმა კანდიდატმა მიიღო მონაწილეობა და ამათგან რა პრინციპით იქნა შერჩეული დანიშნული კანდიდატები. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შრომითი ხელშეკრულებები არ იყო სათანადო წესით გაფორმებული. დაწესებულების წარმომადგენელმა ვიზიტის მეორე დღეს წარმოადგინა შრომით ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებები, თუმცა ხელშეკრულების არსებითი პირობები განსაზღვრული არ იყო სრულყოფილად.

დაწესებულებამ განმარტება გააკეთა პირველ რიგში ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით. მათი თქმით, დაწესებულებას ადრე ერქვა „ფანასკერტელი-ეტალონი" და შემდეგ დაერქვა ლიდერი, ხელშეკრულება 15 დღის ვადით დადებული იყო იმ პერიოდზე, როდესაც Openbiblio შეიძინეს. ექსპერტის განმარტებით, მათ დაწესებულების სახელის შეცვლის შესახებ ინფორმაცია შეიტყვეს ზეპირი ინტერვიუს დროს, თუმცა არ ჰქონდათ საკმარისი დრო იმისათვის, რომ ენახათ დოკუმენტაცია, როგორ განვითარდა დაწესებულება ფანასკერტელი - ეტალონიდან ლიდერამდე. საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია დაინტერესდა შეეძლო თუ არა

დაწესებულებას დაედასტურებინა ის ფაქტი, რომ ლიდერი ფანასკერტელი - ეტალონის სამართალმემკვიდრე იყო. დირექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულებას უკვე შეცვლილი სახელწოდებით ჰქონდა გავლილი ავტორიზაცია. ექსპერტების განმარტებით, წარმოდგენილი ხელშეკრულებით შეუძლებელი იყო დადგენა, ეკუთვნოდა თუ არა Openbiblio დაწესებულებას.

საბჭოს წევრებმა მოითხოვეს დაწესებულებისგან საჯარო რეესტრის ცნობა, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ლიდერი ფანასკერტელი-ეტალონის სამართალმემკვიდრე იყო, თუმცა დაწესებულებას ეს ცნობა არ წარმოუდგენია. მათი განმარტებით, ეს არც სჭირდებოდათ, რადგან შეცვლილი სახელწოდებით გაიარეს ავტორიზაცია.

საბჭოს წევრი, მაია ჩიხლაძე, დაინტერესდა მატერიალურ და ადამიანურ რესურსში აღმოჩენილი ხარვეზებითა და დაწესებულების პოზიციით. დაწესებულების დირექტორის განცხადებით, შრომითი ხელშეკრულებები გაასწორეს, რაც შეეხება მატერიალურ რესურსს, დირექტორის აზრით, ინვენტარის ჩამონათვალი საკმარისი უნდა ყოფილიყო (მახასიათებლების გარეშე). დაწესებულებას არ ჰქონდა მხოლოდ ფულის სათვლელი მანქანა, საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენად აუცილებელი იყო, რომ ფულის სათვლელი მანქანა ყოფილიყო ადგილზე და არა საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე. ექსპერტების განმარტებით, ეს ყველაფერი მოდულურ პროგრამაში იყო გაწერილი, შესაბამისად დაწესებულება ამ ნაწილს ვერ აკმაყოფილებდა.

დასკვნის წარდგენისა და დაწესებულების პოზიციის მოსმენის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერისათვის ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერს (საიდენტიფიკაციო კოდი: 417880092) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა
1	ბანკის მოლარე-ოპერატორი	III	ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	81

6. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მათ დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ექსპერტებმა ელენე გვენცაძემ და დალი კალაძემ წარადგინეს. ექსპერტების თქმით, დაწესებულებას სურდა პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება. დასკვნა იყო დადებითი.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი პირის (დირექტორის) მიერ სათანადოდ დამტკიცებული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანამანათლებლო პროგრამა და მოდულები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული იყო მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის მოცულობა შესაბამისობაშია პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მოცულობასთან და შეადგენდა 147 კრედიტს. მისი სტრუქტურა მოიცავდა სავალდებულო ზოგად, სავალდებულო პროფესიულ და არჩევით პროფესიულ მოდულებს. პროგრამის ხანგრძლოვობა 27 სასწავლო თვე იყო. პროგრამას დანართის სახით ახლდა სასწავლო გეგმა და ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელ პირთა შესახებ. სასწავლო პროგრამა გაწერელი იყო სამ სასწავლო წელზე. გეგმაში დაცული იყო სტუდენტთა კვირეული დატვირთვის საათები.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 კოლეჯს ქ. თბილისში, გოგოლის ქ. N 8-ში ქირავნობის ხელშეკრულებით მფლობელობაში ჰქონდა ორსართულიანი შენობის ფართის ნაწილი, რომელიც შეადგენდა 3/4 ნაწილიდან 3/5 ნაწილს. მატერიალური რესურსი გამოიყენებოდა კოლეჯის მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამებოდა საგანმანათლებლო პროგრამას.დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა 666,71 კვ.მ. შეადგენდა.

2.2 პრაქტიკოსი ექთნის (მეხუთე საფეხური) მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს ჰქონდა მოდულებით გათვალისწინებული A, B და C გარემო, რომლებიც სრულად იყო აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით.

დაწესებულებას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთან და საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების მობილობას განახორციელებდა აღნიშნულ დაწესებულებასთან პროგრამის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმდა ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან, პროგრამის განმახორციელებლ პროფესიულ მასწავლებლებთან, ექსპერტებმა მოინახულეს პრაქტიკის ობიექტები. ყველა ელემენტი აკმაყოფილებდა სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელისთვის პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202066405) მიენიჭოს უფლებამოსილება, დამატებით განხორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	პრაქტიკოსი ექთანი	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	147	მეხუთე	30

7. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მათ დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა, ეკატერინე გიგაშვილმა და ნინო ბალანჩივაძემ. ექსპერტების განცხადებით დაწესებულებას სურდა პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის და ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება. დასკვნა იყო დადებითი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯი მდებარეობდა აჭარის ონკოლოგიურ ცენტრში, მე-4 და მე-5 სართულზე. მოინახულეს პრაქტიკის ობიექტები და ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ სტუდენტები სრულყოფილ გარემოში გაივლიდნენ პრაქტიკას.

A, B და C გარემო მოწესრიგებული და სრულიად შესაბამისი იყო სტანდარტთან. მოცემული დროისათვის დაწესებულებას ჰყავდა 39 სტუდენტი. კვოტა სულ 150 სტუდენტით ჰქონდათ განსაზღვრული. გარემო იძლოდა საშუალებას, რომ 40 სტუდენტი მიეღოთ ერთ ცვლაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ობიექტური შეფასებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ მე-3 საფეხურის პროგრამები მილევად რეჟიმში ხორციელდებოდა, დაწესებულება აქცენტს აკეთებდა აღნიშნულ პროგრამებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 245419355) მიენიჭოს უფლებამოსილება, დამატებით განხორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	პრაქტიკოსი ექთანი	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	147	მეხუთე	60
2	ფარმაცევტის თანაშემწე	ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351	105	მეოთხე	40

დღის წერიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 19:27 საათზე საბჭო დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
საბა სარიშვილი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე